

№ 3

19 იანვარი 1914 წ.

საქართველო  
მისამართის მიზანის განვითარებისა და მოწოდების მისამართი

წლიური ფასი

— 3 მან. —



შოთა კაბერძელი საზოგადო-ეკონო.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

აიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ლია 9—3 საათ.

ფილიფალი მესამე

მისამართი: თბილისი, გაბაევსკის ქ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპტისა: თბილისი კლდე.

- 567443*
- სარჩევი:
1. ჩვენი ჭირ-უარავი. — თავისუფალ მეოვალურები.
  2. საქომერციო სასწავლებელი. — 6. გ - ები.
  3. ჩვენ და ცხოვრება. — დ. კასრაძისა.
  4. მრესა.
  5. უკანასკნელი ამბები.
  6. ჭუთასი. — შ. ა—ისა.
  7. ქართული ენა სასწავლებლებში. — ს. და—ისა.
  8. აურა ქართულ სოფლების. — ვინმები.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

შოთა კაბერძელი საზოგადო-ეკონომიკური

და სალიტერატურო ჟურნალი

# “კლდე”-ქაბ.

ფასი:	1 წლით. . . . .	3 მან.
	6 თვით. . . . .	2 მან.
	3 თვით. . . . .	1 მან.

ცალკე ნომერი ცველგან 5 კაპ.



## ჩ ვ ე ნი ჭ ი რ - გ ა რ ა მ ი

მოყვარეს პირში უძრახვენ...



ქართველების ნივთიერი ხელმოკლეობა დიდი ხანია საგრძნობელი შეიქმნა, და რომ ეს ხელმოკლეობა ძალიან უშლის ქართველებს რამე წარმოებას მოჰკიდონ ხელი - ან თავის მანულისას, ან ვაჭრობა-მრეწველობის საქმეს, — ამაზედ ჩვენს საზოგადოებაში მუდამ ხშირი ლაპარაკი და წუხილი გაისმის. მაგრამ მწერლობა კი ამ საგანზედ ლაპარაკს როგორლაც მორიდებულია. იმაზედ სჯა-ბაას, თუ რა ლონისძიებაა საჭირო, რომ ჩვენში წარმოებამ გიოლვიმოს, ვაჭრობა-მრეწველობა აღორძინდეს და განვითარდეს, არა გვვონია ჩვენი ცხოვრების ჭირვარამზედ მოსაუბრე მწერალთა შორის, გადაგვარების გზაზედ დამდგართა გარდა, — ზოგი მაინც საჭიროდ არა სოვლიდეს და ისიც შეგნებული არა ჰქონდეს, რომ სხვისა ხელით და ჯიბით მოწყობილი წარმოებით სარგებლობა თანდათან უფრო დააქვეითებს ქართველების ნივთიერს ძალას, ხოლო ეს დაქვეითება ერის კეთილდღეობისა და გონიერივი წარმატების დამაბრკოლებელ ზღუდედ უფრო მძლავრად იღებართება წინ. რაღა თქმა უნდა, რომ ხელმოკლეობა და მისი პირმშო შვილი უწარმოებლობაა მიზეზი, რომ ქართველების პატარა და დიდი მამული, საკუთრებად თუ საწარმოებლად, უცხოელების ხელში შეუფერხებლად გადადის.

ამ მოვლენას მწერლობა მწუხარებით თუ აღნიშნავს ხოლმე, თორემ იმაზედ ლაპარაკს, რითი შეიძლება მამულების სხვისა ხელში გადასვლის შეკავება, ანუ მათი პატრონებისგან საკუთარი ძალალით წარმოება, ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინება და განვითარება და საზოგადოთ ნივთიერად გაძლიერება, ამაზედ ლაპარაკს ჩვენი მწერლობა თითქოს ერიდება კიდევა, და თუ ოდესმე იტყვის, ისიც გაკვრით ცოტა რასმე. ეს ან იმიტომ არის, რომ სოციალურ დებულებათა მქადაგებლობის და ამ დებულებათა სხვა და სხვა კილოზედ გარჩევა-აღსნის და მათზედ კამათის ხანაში, — რაიცა კარგახანია, მოდად (თუ ჭირად) გადაიქცა, ჩვენს მწერლობის „ბურუუაზულ“ საგანზედ ლაპარაკი და რაიმე რჩევა სათავილოდ მიაჩნია; ან კიდევ იმიტომ, რომ ამ საგანზედ ლაპარაკის დროს არ შეიძლება ერთ-ერთი ჩვენი დაწესებულების მოქმედებას არ შევხოთ, და ეს კი ძველებური შენ-ჩემიანობისა, ან

კერძო რამ მოაზრების მიზეზით უხერხულად მიაჩნია.

ასე თუ ისე, ქართველობა ნივთიერად ძირს იწევს, მისი გაუნძრევლობით უცხოელი მდიდრდება და ამის განსაკურნავად ვერაფერი წამალი ვერ მოგვიძებნია, თუმცა ამისთვის შორის სადმე წასვლა არ მოგვინდებოდა...

ამ გარემოებას შარშან ერთმა უდღეო გაზეთში („ჩვენმა დროებამ“) თითქოს შიაბურო ყურადღება; ჯერ ხანად ქართველების ვაჭრობის დაქვეითებაზედ დაიწყო ლაპარაკი და ამ დაქვეითების მიზეზებზედ მიგვითთა. ჩვენც სწორედ ამ ვაჭრობის დაქვეითების მიზეზედ გვინდა ორიოდე სიტყვა ვსოდეთ, მით უმეტეს, რომ იგი მიზეზი როგორც ვაჭრობის, ისე მრეწველობისა და ყოველგვარ წარმოების დამაბრულებელია და თან ჩვენი ქონების ხელიდან გამომცლელიცა.

„ჩვენი დროების“ მე-27 ფურცელში ქართველების ვაჭრობის განუვითარებლობის მიზეზად ის იყო აღნიშნული, რომ ქართველი მყიდველი ქართველს ვაჭარს დაუდევრად ეკიდებათ, იმის მაგიერ საჭირო საჭონელი იმისგან იყიდოს, იგი უცხო მოვაჭრისგან ჰყიდულობს, უცხოელს აძლევს მოგებასაო... ეს სამდურავი ზოგს შემთხვევაში შეიძლება სამართლიანიც იყოს, მაგრამ საზოგადოთ კი, ვაჭრობის ბუნებას თუ გავითვალისწინებთ და იმ გარემოებასაც. როგორმიაც ქართველი ვაჭარი იმყოფება, მაშინ მიზეზი სულ სხვა აღმოჩნდება.

ვაჭრობა თავის ბუნებით ეროვნების გარეშე იმყოფება. ის მოვაჭრეა წარმატებაში, ვისაც ბევრი მუშტარი ჰყავს (ეროვნების განურჩეველად). და ბევრი მუშტარი იმისა ჰყავს, ვისაც ბლომად საჭონელი აქვს (შეშუდი). მარტო იმისთანა ვაჭარს შეუძლიან მუშტრის მიზიდვა და მით ვაჭრობის გაფართოვება, ვისაც მუდამ მრავალგვარი, ახალი და საღი საჭონელი აქვს, პირდაპირ მაწარმოებლისგან მოსდის და მით ლონე ეძლევა შედარებით ხელმისაცემ ფასად მიაწოდოს მყიდველს. ხოლო ეს ლონე მხოლოდ იმ ვაჭარს ძალუდს, ვისაც ვაჭრობისთვის საკათაროდ საკუთარი თანხა აქვს, ანუ ამ თანხის მიუმიოთ საკრედიტო დაწესებულებანი (ბანკები) ხელს უწყობენ.

სომხების ვაჭრობას ჩვენში სწორედ ამ ბანკებით უდგას სული და თანდათან წარმატებაში შედის — როგორც ახალ მოვაჭრეთა გამრავლებით, ისე არსებულთა გაძლიერებითა. მათგანი ნახევარი მაინც გარეშე ხალხია, არც ეგოდენი რამ საკუთარი თანხის პატრონები არიან; სამაგიეროდ იმათ ხელის შემწყობად ოთხი საკუთარი და ორიც უცხო ბანკი აქვთ თბილისში. კომერციული ბანკი და ორიც საურთიერთო ნდობის ბანკი მათი ვაჭრობის გასაძლიერებლად არიან დაფუძნებულნი. ვინც დაპკვირვებია, იმისთვის ცხადია, რომ რაც ეს ბანკები გაჩნდნენ, სომხების ვაჭრობა მას აქეთ უფრო გამრავლდა და გაძლიერდა, და გარეშე ილაგებიდანაც თბილის მას აქეთ მოაწვა მრავალი უცხოელი სომეხი ვაჭარი. ამ ბანკებმა ისიცა ჰქმნეს, რომ თბილისა და თბილის გარედაც ბევრი დიდი სამრეწველო ქარხები დაფუძნდნენ, საქმეს მრავალი მუშა-ხელოსნით აწარმოებენ და თითქმის სულ ქართველების მასალის შემუშავებით მდიდრდებიან.

ქართველი ვაჭარი სულ სხვა გარემოებაშია. იგი თავის პატარა ჯიბის ანაბარად არის მიტოვებული, მის ხელის შემწყობად არც უწინ ყოფილა ბანკი და არც ეხლა არის. ამ გარემოებაში კი ქართველების ეროვნული გრძნობით გამსჭვალვა ვერაფერს ვერ უშველის. რომელ ქართველსაც კი თავის საკუთარი თანხით ძველიდგანვე ფეხი მოუკიდნია, აյრ ფართოდ ვაჭრობს, და თუ ფული დასჭირდა, უცხოელ ბანკებშიაც იდვილად იშოვნის. მაგრამ რა უნდა ჰქნას ქართველმა წვრილ-ფეხა ვაჭარმა? მეტი რა ლონე აქვს საღმე განაპირა ადგილებში უნდა დაიწყოს ვაჭრობა, მეორე-მესამე ხელიდგან ცოტაობით ზოგი რამ საქონელი იილოს და სხვებთან შედარებით ძვირად გაპყიდოს. რაც უნდა ეროვნული გრძნობა ავამოძრაოთ, რაკი იმასთან ყოველგვარ სავაჭროს ვერ ვიშოვნით და რასაც ვიშოვნით — მდარეს და ძვირად, მეტი რა ლონეა ისევ ბანკებისგან ხელშეწყობილ დიდ ვაჭარს სომეხს უნდა მივმართოთ და იმას მივცეთ მოგება.

დიალ, ვაჭრობის გასაძლიერებლად მყიდველი კი არა, საალებ-მიცემო თანხით ხელის შემწყობი ბანკია საჭირო. ეს საჭიროება ამ ოციოდე წლის წინადვე ზოგიერთ ჩვენ მოწინავე პირთაგან იყო შეგნებული და მაშინ თ. ალ. ჩოლოყაშვილმა რამდენიმე ფულიან ქართველთან ერთად ამხანაგობა შეადგინა ქართველებისთვის საალებ-მიცემო თანხის გასაჩენად, მაგრამ ეს ამხანაგობა ვერ შესდგა, თუმ-

ცა წესდება, როგორც მახსოვს, დამტკიცებულიცა ჰქონდათ. რამდენიმე წლის შემდეგ ივ/ჩოლოყაშვილი ამ არსებული „სამეურნეო საურთიერთო“ ბანკის დაარსებას შეუდგა და დაარსდა კიდეც იგი. \*) რაკი იგი არსებობს და მიუხედავად კართველი ვაჭრების საშველიდ ეროვნულ გრძნობას მოუწოდებენ, საჭიროა ორიოდე სიტუაცია ცისქვათ ამ ბანკების შესახებ.

ამ ბანკის გახსნის ხანაში ბევრი უცნაურობა მოხდა, მაგრამ მათი აღწერი მისი ისტორიულის წილად დავსტოვოთ. აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ სათავეშივე აირია მისი საქმე. როდესაც წევრების მიღება დაიწყო, მაშინ ყველასთვის მოულოდნელად მისი მოთავე თ. ალ. ჩოლოყაშვილი ჩამოეკალა ბანკს და მისი აღგიღი სხვამ დაიჭირა. ეს სხვა მეტიც უცნაური ფინანსისტი გამოდგა და ბანკმაც შეუფერებელი მიმართულება მიიღო. ახალი გამგე იმას კი არა სუდილობდა ფართო საზოგადოება შეედგინა, ბლობა წევრი მოეზიდნა, უკვე არსებულ საურთიერთო ბანკში წევრებიც მყოფი ქართველები (თითქმის ორასამდის) თავისკენ გადმოებირებინა და დიდი თავდებობა მოეპოვებინა ბანკისთვის, დიდი აღებ-მიცემობა მოეწყო (როგორც აზრად ჰქონდა ჩოლოყაშვილს), პირიქით ახალი გამგე მხოლოდ იმას ჰფიქრობდა — ვისთვის რა ნიშანი დაესვა, რასაკვირველია გამათახსირებელი, — (მასწავლებლად ნამყოფი იყო და მოწაფეთამდი ჩვეული მოპყრობა — ლირებულზედ ნაკლები ნიშნის მიცემა — ბანკის წევრობის მსურველებზედაც გადმოიტანა). ამისთანა მოპყრობით, წევრობის მსურველ პირთა გაბათილებით, რა თქმა უნდა, მრავალი გაუფრთხა ბანკს და ამ ნაირად დაფუძნდა ბანკის მსგავსი რაღაცა, დაფოლებული წევრებით, გაძნელებული სესხის გაცემით, სოფლის წვრილფეხა ბანკებში არსებული სარგებლის გადახდევინებით და სხვა უცნაურობით აღსავსე.

ამისთანა მოქმედებით ხენებულ ქართველების ბანკს დასაწყისშივე მოესპონ გინვითარების ლონე და რაღა გასაკვირველია — ვერც ჩვენს ზეურნეობას შეუწყო ხელი და ვერც ვაჭრობა-მრეწველობას. იქადისაც მივიღა საქმე, რომ ერთ-ერთ საზოგადო

\*) „სამეურნეო“ დაერქვა ბანკს, თუმცა მისი დამფუძნებელს სულაც არა ჰქონდა აზრად მისთვის განსაზღვრული რამ აღებ-მიცემობა მოუხვია თავზე. რაგა ერთი საურთიერთო ბანკი უგვევა არსებობდა, ეჭვი ჰქონდა მეორე იმისთანავე ვაი თუ არ დამტკიცოთ.

ყრილობაზედ თვითონ იმავე გამგემ გულლიად აღიარა — სამეურნეო სესხის გაცემას, ვერ მოვაწყობო. სავაჭრო-სამრეწველო სესხის გაცემაც რომ ვერ მოაწყო ესეც აშკარად სჩანს იქიდან, რომ ზემოხსენებული გაზეთიც ქართველების ვაჭრობის დასახმარებლად ქართველ მყიდველებს მოუწოდებს და არა ქართველების ბანკს, თითქოს იგი არც კი არსებობდეს, და არცა სწამს მისი არსებობა, რადგან იმავე წერილში ამბობს: „მეზობელი ერის შეილი (ე. ი. სომეხი ვაჭარი) რუსეთში წავი საქონლის სასყიდლად, იქაური მექარენეები აქალო ბანკებს დაეკითხებიან (რაღა თქმა უნდა არა ქართველებისას) ესა და ეს ადამიანი სანდო არის თუ არაო. აქაური ბანკების გამგეობაც ისეთ ცნობებს აძლევს, რომელიც (თუ როგორიც?) საჭირო საქონლის ნისიად წამოღებას შეაძლებინებს.“ რატომ ქართველ ვაჭარს ვერ უნდა ეთქვა მექარენესთვის: „მე ქართველების ბანკის წევრი ვარ, იქა მაქვს ნდობა და ფულსაც იმ ბანკის საშუალებით მიიღებთო.“ მაგრამ ვაჭრობა ამ ჟამად სულ სხვა რიგად სწარმოებს. მექარენეებთან ვაჭრის წასვლა სულაც საჭირო არ არის; თვითონ მექარენეებს ჰყავთ აქ მინდობილი პირები (კომისიონერები) და ვაჭრებსაც იმათი დახმარებით მოსდით უველა სავაჭრო ნისიად. ვაჭრისთვის მხოლოდ საჭიროა ბანკში ნდობა პქონდეს. ეს კომისიონერმაც უნდა იცოდეს და ვაჭარიც დაიმედებული იყოს, რომ ვინიც აღებული საქონელი ნისია ვადამდის ვერ გაასალოს, ეს ნისია ბანკიდან ნასესხი ფულით გაისტუმროს და მით უფრო დიდი ნდობა მოიპოვოს მექარენისგან ვაჭრობის გასაფართოებლად. ამ რიგად შეიძლოს გვერდში ამოუდგეს სომეხ ვაჭარს და ქართველი მყიდველის ანაბარად არ იყოს მიტოვებული.

ამ საგანჩედ ჩეენს ბანკს არ უფიქრია და მაში სიტყვით გვაქვს ბანკი და საქმით არა. ისიც ვერ შეუგნია მას, რომ ქართველი ვაჭრების გაძლიერებით თვითონაც გაძლიერდება. და არც თუ მფიქრობს ამ გაძლიერებაზედ, რადგან მოუხედავად დიდი ხნის არსებობისა, თითქმის იმავე მდგომარეობაში იმყოფება, როგორშიც დასაწყისში იყო — ისევ ითხოვდე მოხელე და დღეში ხუთიოდე მუშტარი, მაშინ როდესაც სხვა ბანკებში მუშტარს გზას ვერ აუქცევს კაცი და რამდენიმე ხანი ლოდინი გინდებათ, რომ რივი თქვენამდის მოვიდეს, თუმცა იმ ბანკებში მოხელე ოცობით ითვლება.

იქნება სახელი „სამეურნეო“ უშლიდეს სენებული ბანკის წინსვლას? თუ ესეა რატომ გამგენი

ამას ყურადღებას არ მიაპყრობენ? მით უმეტეს, ქართველებში განსაკუთრებული რამ დანიშნულების ბანკი ვერ იწარმოებს და არც საჭიროა. არსებულმა სომხის ბანკებმა რამდენი სამეურნეო საქმე მოაწყეს თავიანთ არა-სამეურნეო ბანკებით. ჩვინთვის საჭიროა ყველა საჭიროებისთვის სესხის გამცემი ბანკი, რომ მეურნეობასაც, ვაჭრობასაც, მრეწველობასაც და სხვა ყველა საჭიროებას ხელი შეუწყოს. ჩვენი სამეურნეო ბანკი ისეთ ბანკიდ უნდა გადაიქცეს, თუ კი ეხლა სახელის გამოისობით არ შეუძლიან ქართველების ცხოვრების ყველა მხარეს ემსახუროს. კიდრე ეს არ მოხდება, დიდ დახმარების ბადეს ფართოდ არ გაჰშლის სწორედ ისე, როგორც სომხის ბანკები სჩადიან, იმ დრომდის საქმიანობის ყველა დარგში, მეურნეობა იქნება იგი, თუ ვაჭრობა-მრეწველობა — სხვები გაგვისწრობენ, ხოლო ჩვენ მუდამ ვიჩივლებოთ რომ ბანკი კი არა, რაღაცა ჭლექად დაბადებული ბანკის მსგავსი გვაქვს.

ესეც კი უნდა ვალიაროთ, რომ „სამეურნეო“ ბანკისა თავისით და თავისში, რაიმე ცვლილების მოხდენისა დიდი ეჭვი გვაქვს. ეს უნდა მომხდარიყო რადგან გამგეობა გამოეცალა, მაგრამ არ მოხდა. სჩანს ძველებური ლონლიალი ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი, წევრების მოწონ-დაწუნების შეუსაბამო წესს ისევ უწინდელს მისდევს. ერთი სიტყვით ძველი გამგის ნაანდერდევ საქმის წარმოებას სამლეო მცნებასავით იცავს. მაში რა ცვლილების მოხდენა შეუძლიან. უფრო საიმედო ის იქნება — ქართველმა საზოგადოებამ ყოველი ლონე ილონოს და იხალი ბანკი დააარსოს, ნამდვილი ბანკური საქმიანობით. ყველა შეგნებული ქართველი მოვალეა ამ საქმის, განხორციელებას ხელი შეუწყოს. მანამ ეს არ მოხდება, ვერც მეურნეობას, ვერც ვაჭრობას, ვერც მრეწველობას ვერ ეღირსება წარმატება და მამულების უცხოელების ხელში გადასვლის შეკავებაც არ შეიძლება. ამის შესაკავებლად საჭიროა მემამულებს საშუალება მიეცეს — მამული თავის ხელით აწარმოვოს და მით ფასი დასდოს მას, შეიყვაროს იგი.

თავისუფალი მეოფალურე.

# კომერციული სასწავლებელი

რედაქტიამ მიიღო წესდება „ვაჭართა საზოგადოებისა, საკომერციო ცოდნათა გამავრცელებელისა“. მიზანი საზოგადოებისა თვით სათაურიდანას შეანს და რეალურად მისი განხორციელება ჯერჯერობით იმაში გამოიხატება, რომ ენკენისთვიდან პირობს საზოგადოება დაარსოს ქუთაისში კომერციული სასწავლებელი. როგორც დანამდვილებით ვიცით, ამ მიზნისათვის საკმაო თანხაც მოიძებნება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამისთანა დროის შესაფერი სასწავლებელი კარგად მოეწყობა; მით უფრო, რომ ხელმძღვანელ პირთა ვინაობა ამის სრულ გარანტის იძლევა. დიდი ხანია სჭირია საჭართველოს ერთი ხეირიანი საკომერციო სასწავლებელი მაინც და გადარჩენა საერთო გატაცებისაგან კლასიკური სწავლით. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ყველა ეროვნული დაწესებულება იმდენადაა დირებული, რამდენადაც იგი შეეგუება ერის ცხოვრებას და რამდენადაც იგი განზომილია ერის ძალასთან. ამ მხრივ ჩვენს ცხოვრებაში არა ნორმალური მოვლენა ხდება; მთელი საზოგადოება (თავ. აზნაურობის ზეგავლენით) გატაცებული იყო აქამდის კლასიკურ სწავლით და ჩვენს, უმთავრესად სოფლის მეურნეობის ქვეყანას მარტო გიმნაზიებით და პროგიმნაზიებით ავსებდა. უკანასკნელ დროს ბევრი ხმა გაისმა სამეურნეო სწავლის გავრცელების საჭიროებაზედ, მაგრამ ჯერჯერობით ეს მხარე სრულიად დაუკმაყოფილებელია და მარტო პატარ-პატარა პრაქტიკული სკოლები მოეწყო ზოგან. მით უფრო სასიხარულოა, რომ ქუთათურ მოღვაწეებმა იყისრეს კომერციული სასწავლებლის დაარსება და თანამედროვე ცხოვრების განვითარებას, მის პრაქტიკულ მსვლელობას წინ წაუმძღვარეს სასწავლებელი, სადაც უნდა იღიზარდოს ახალი თაობა ახალ მოღვაწეობისათვის. მრავალ საკრედიტო, საკომერციო, საგაჭრო დაწესებულებას, როგორიც ეხლა ეფინება ჩვენს ქვეყანას, სჭირია მუშაკი და ბევრჯერ შშვენიერი საქმე ფუჭდება მარტო იმიტომ, რომ ერთი ხეირიანი მოანგარიშე აკლია. ჩვენი ეკონომიკური აღორძინების დროს — ეს სწორედ თვალსაჩინო დადანაკლისია და, მაღლი უფალსა — ესეც შეგვევსება. ქუთაისი და მისი გუბერნია ამ სასწავლებლისათვის ფართო სამოქმედო ასპარეზს წარმოადგენს თავისი

განვითარებული (შედარებით თბილისის გუბერნია-სთან) ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობით და ერთო-ერთმანეთს მკვიდრად შეეწყობიან და წინ წასწევენ წეოლა და მისი სამოქმედო ასპარეზშენადაც.

საჭართველოს ყველა კუთხიდან უძლია ვეცადნეთ ამ სკოლას დავეხმაროთ, როგორც მატერიალურად და ხალხით, ისე ჩვენი შვილების იქ აღზრდით, რომელნიც ეხლა „კლასიკურ ჩინოვნიკობას“ ვერ გასცილებიან. რაღა თქმა უნდა ჩვენი ცხოვრებისათვის თუ კილებლად საჭიროა კარგი საშუალო კლასიკური სკოლა, საჭიროა უნივერსიტეტიც, მაგრამ როცა კლასიკიზმი არა ნორმალურად ჰყვავის და ცხოვრების ყველა სხვა მხარე მიტოვებულია უყურადღებოდ, მაშინ სრული უფლება გვეძლევა ავმხედრდეთ ასეთს პიპერტროფის წინააღმდეგ კლასიკიზმისა და მოვითხოვოთ ეროვნული სწავლა სხვა დარგებშიაც. ჩვენ თავიდან ვიცილებთ იმ გაუგებრობას, ვითომც საზოგადოთ კლასიკური სწავლის წინააღმდეგ ვიყვნეთ და სილაშს უძღვნით ახალს მიმართულებას. ეს ახალი იმ გზით უნდა სწარმოებდეს, რომელსაც დასდგომია ქუთათური საზოგადოება — ფართო გავრცელება სამეურნეო ცოდნისა, რომელსაც ორი არსებითი მხარე აქვს: საეპრო-სამრეწველო და სასოფლო - სამეურნეო. პირველს უკვე ჩატყრია საძირკველი და მეორესაც ვუსურეოთ აგეთივე საძირკველი და ლირსეული პატრონი.

რ. 8.

## ჩვენ და ცხოვრება

ისტორიული პერსპექტივები. საჭართველოს ისტორიი მთელს მის არსებობის სარბილზე მხოლოდ მოგერებისა და თავდაცვის აღწერილობას წარმოადგენს და არა დაპურობითი პოლიტიკის მოთხოვობას.

თავდაცვის ინსტიტიტი ჩვენი ცხოვრების პერიპეტივებზე ყოველთვის დაკავშირებული იყო ტერიტორიის შერჩენასთან. ქართველი ერი, როგორც მიწად-მოქმედი, მუდამ მას დასტრიალებდა თავზე, უმისოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინა, დიადმა ბუნებამ გაუტკბო მამულის სიყვარული. სატრფოსავით გულზე მიიკრა და თითქმის ერთგვარ სიბრმავემდინაც კი მიიყვანა: ქართველს არა ჰსურს თავის მამულის საზღვრებს იქით გადაიხედოს, გავიდ-გამოვი-

დეს მეზობლებში, როგორც ამას სჩადიოდნენ ფინიელები, ებრაელობა ან სომხები. ეს ერები უმთავრესად იმიტომ ეჩვეოდნენ ადვილად ტერიტორიის დაკარგვის, რომ იძულებულნი ჰხდებოდნენ არსებითი პურის საძებრად იქეთ-იქით გასულიყვნენ. საზღვრებიდან გასვლა-გამოსვლამნელ-ნელ ვაჭრობას შეაჩინა იგინი და საბოლოოდ იმდენად შეიტებს ეს ხელობა, რომ მის გულისთვის არავითარ საშუალებას არა ვზოგავდნენ, რაგინდ საშინელებაში გამოხატულიყო იგი. მათ არ აქმაყოფილებდათ მეზობლები ინახულეს ეგვიპტე, ალექსანდრია, გადასჭრეს ხმელთა შუა ზღვა, ეწვივნენ ძველ მარსელს; თვით ჰერკულესის სვეტებამდინაც მიაღწიეს, რომ მსოფლიო ბაზრები ხელო ჩაეგდოთ. რაღა თქმა უნდა, რომ მათი სამშობლო იქ იქმნებოდა, სადაც ვაჭრობა უფრო ხელს მისცემდათ, უმჯობესად ეცხოვრებოდათ.

სულ სხვაა ქართველი. რაკიდა მამულის სიტკბოება იგემა, იგი პნეტარებს, ეჩვევა უზრუნველყოფას, კარჩიკეტილ ცხოვრებას, იგი უაღრესად თავისუფალია, არა ზვიადობს; ომის გულისთვის არაეის უცხადებს, როგორც ამას სჩადიოდნენ გულადი ასურელები, არავის ყმობა არა. პსურს, არც არაეის ეყმება. და თუ ვინმე გაკადნიერდება და მის მამულს ხელს შეახლებს, სადაც მის გუთანს კვალი გაუცელია და თვის ღმერთების კერა გაუჩაღებია, იგი საშინელია ამ დროს, ცოცხალი თავით მას არავის არ დაანებებს. აი, ამითი აიხსნება, რომ მთელს ისტორიულს სარბიელზე ქართველი ერის ინდივიდუალობა შეუძლებელია უცერიტორიოდ წარმოვიდგინოთ და ტერიტორია კიდევ, ე. ი. ჩვენი ქვეყანა უ-ქართველ ეროდ.

დღეს ისტორიული პირობები მთლად შეცვლილია. ეს ცვლილება, უწინარეს ყოვლისა, იმაში გამორხატი რომ ნებსით თუ უნებლიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობა დავკარგეთ. შეიცვალა მმართველობითი სისტემა. პავლე პირველის რკინის ხელით ჯერ გაუქმებულ იქმნა, რუსეთისთვის არა ხელხაურელი, მეცე ერეკლესი და ეკატირინე მეორეს 1783 წ. ხელშეკრულობა. საკმარისი იყო ამ უკანასკნელის შვილს საფლავში თავი ჩაეყო, რომ არა თუ მისი ახალი ხელშეკრულება, 1799 წ. ტრაქტატი, არამედ ბაგრატიონთა ტახტიც სულ მთლად გაეუქმებინა ასე რომ ახალი მემკვიდრე დავით ბატონიშვილი ოცნებითლა ხელმწიფობს საქართველოში რუსეთის სილრმიდან. 1801 წ. ხომ ალექსანდრე I-ლის უმაღლესი მანიფესტით სა-

ქართველო ფაქტიურად რუსეთის პროვინციად იქმნა გამოცხადებული.

როგორც ვხედავთ, რუსეთის ფართო ფარგლებში პატარა საქართველოს საზღვრების ფლეჭრა, ჩაინთქა; მოისპონ მის მეფეთა დინასტიუმში შმართველობა და მით უმთავრესი ხაზი ჩამოეცალი მის ინდივიდუალობის სახეს. ჩვენ ვიცით, თუ რა შედეგი მოჰყვა ამას, ტახტის გაუქმებას თუ როგორ მოჰყვა ეკლესის გაუქმება, როგორ მოისპონ კათოლიკოსობა, როგორი რეფორმები მოახდინეს შიდა ცხოვრებაში, როგორ გაუქმებულ იქმნა ჩვენებური აღმინისტრატიული წეს-რიგი, სჯულმდებლობა, ხაზინა; ვიცით ისიც თუ საქართველოს ახალ მმართველობროვნელდებოდათ ჩვენი ჭირ-გარამის გაგება, რასიული ფსიხო-უოგის გაცნობა; როგორ და რა სახით გვექცეოდნენ აულაგმავი გენერალი ქნორრინგი თუ კოვალექსკები რომელნიც ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ საქართველოს სიმდიდრეს, როგორც დამარცხებული მტრის ბანაკს: ვიცით ისიც, თუ როგორ შეურაცხხმულებნენ თვით ბატონიშვილებსაც კი, როგორც, მაგალითად, დავით ბატონიშვილს, რომელსაც მთელი ქონება და მამული ჩამოაცალა თავხედმა მშკოვალენსკიმ და თავის ნათესავებს დაურიგა, როგორც დავლა: ავრედვე არ დაგვავიწყდები აუარებელი გადასახადები, სოფლად მოხელეების თავ-გასულობა, ბარბაროსული რბევა, აწილკება, ჩვენი დედების განდღობის შეურაცხულება, რასაც მოჰყვა მოთმინების ძაფის გაწყვეტილ და ამბოხებათა კოონების დანთება 1804 წ. მთიულეთში, 1811—1812 წ. კახეთში, ხოლო 1832 წ. თავად-აზნაურობის მხრით. \*)

საქართველოს თითქოს ერთხელ გაულიმა ბედმა და ალირსა გულშემატკიფარი მთავარ-მართებელი, მაგრამ ეს იყო თითქოს! აქ ვგულისხმობთ ვარინ-ცოვს, რომელმაც მოინდომა საქართველოს განათლება, კულტურული აუვავება. ჩვენ ვიცით, თუ რის გულისთვის გააშენა ვერმანელთა ახალშენები, რომ ჩვენ ვლეხებს მათთვის მიებაძნათ მუშაობაში, ვიცით, რომ მის ხელში არსდება თეატრი, გიმნა-

\*) ბაგრასიის საარქეოლოგია აქტები საკეთ დაუჯერებელია ასბებით, ხადხის საშინელი იქრეშიადით. მაგრამ რაკიდა მკითხველისთვის მნელია ეველას აღნუსხადა და გადაჭითხა, მოუთათებთ ად. ფრთხელის შშვენიერს ისტორიულ ნაკველებზე „მთიულეთი“ 1804 წ. და „ქახეთის ამბოხება“. თრივე წიგნი ცოცხალ სურათს გვიდგენენ საქართველოს იმ დროინდელ საგადაჭრო მდგრმარეობაზე. — დ. კ.

ზია, ვიცით, თუ რა ეშნი და მადა გაულვიძა ჩვენს ბრწყინვალე წოდებას ბალ-მასკარადებით. მაგრამ ყველა მის რეფორმებს უტოპიური სახე ამიტომ აძვესთ, რომ ეს მხოლოდ გარეგნული მანტია იყო და ჩვენი ხალხის ფსიხიკიასთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა, რომ ერთ კულტურულად წინ წასულიყო, ეკონომიკურად გამიგრებულიყო. პირიქით, მისმა ლიბერალურმა პოლიტიკამ ერთიანად დასცა საქართველო და საარსებო ნიადაგი გამოაცალა ფეხქვეშ. და მართლაც: საქართველოს არ ახსოვს ისეთი ხანა, როდესაც ისე გასაწყლებულიყოს, როგორც ამ ლიბერალ მთავარ-მართებელის დროს. კნორრინგის ხელში, არც ნეტარხსენებულ „პაველ დიმიტრიჩ ციციანოვის“ დროს, არც ერმოლოვ და პასკევიჩების დროს საქართველოს დაცუება ისე არ ყოფილა საგრძნობელი, როგორც მაშინ. ჩვენი ბრწყინვალე წოდება მანამდე ფეოდალურ ცხოვრებასთან ვერ სწყვეტდა კავშირს. იგი ისევე სცხოვრობდა, როგორც მე-XIX საუკუნე. დასაწყისამდე სოფლიად, სადაც ცხოვრება ისეთი რთული არ იყო, როგორსაც დღეს ქალაქიდ ვხედავთ. ქართულ ტრადიციებზე ალრჩდილს მას ერთგვარ ულელად მიაჩნდა რუსეთის კულტურა, ახლად დაარსებულ სასწავლებლებს ვერ უძლებდა და ქუდ მოგლეჯილი გამორბოდა, თუმცა სწავლის გულისფრის სათანადო თან ხა იყო გადადებული, რომელიც ერთგვარ ჯამაგირის სახით ეძლეოდათ. მაგრამ ის, არც ვერ უძლო მთელი ნახევარ საუკუნის იძულებითმა პოლიტიკამ, ვარანცოვის ლიბერალობამ გასტენა, კისერი მოუგრიხა და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ იგივე შეურიგებელი წოდება ეპიდემიური გატაცებით ეწაფება გარეგნულად გაევროპიულებას. რომელიც უმთავრესად ყურთმაჯინ კაბისა და ქულაჯის მოშორებაში და გარუსებაში გამოიხატა. სოფლის მიყრუებული ცხოვრებით თავმობეჭრებულს, თვალი მოსკრა გარეგნობის სიბრჭყვიალემ, აღმოსავლეთური ტემპერატურის უაღრეს მშვერვალამდე აუდელვა და შეუკავებლივ ილტვის ქალაქში იცხოვროს; ყოველ შემთხვევაში ხანდახან ჩაინც ჩამოვიდეს ბალსა და მასკარადებზე დასასწრებლად. ყველა ამას კი სჭირია ფული. ჩვენს თავად-აზნაურობას კი ყოველისფერი ჰქონდა, გარდა ფულისა. და აი, ვარანცოვი ამის საშუალებასაც გამოუნახავს: თბილისში ხსნის „პრიკაზის“, რომელსაც ერთგვარი ბანკის სახე ხსნის „პრიკაზის“, რომელსაც ერთგვარი ბანკის სახე ჰქონდა. შეეძლო სოფლელ თავადს მამულის დაგი-

რავება და ფულის მიღება. რაკილა ეს წყარო აღმოჩენილი იქნია, ალფროვანებული წოდება, უხვად ანიავებს ისეთ სამკიდრო მამულებს, რომლებიც ხშირად მთელს სამთავროებს წარმოადგენს. არ დარჩა ერთი თავადი, არ გადარჩა ერთი თვალსაჩინო მემამულე, რომელსაც მამული არ დაეგირავებინოს „პრიკაზში“, რის დაღიც ბევრს დღესაც ვერ მოუშორებია და მრავალთა სახელი კიდეც ამოშალა არსებობის სიიდან. ასე და ამ გვარიად ვარანცოვის ლიბერალურმა პოლიტიკამ და მის მიერ გამართულ ბალ-მასკარადებმა იმსხვერპლი ჩვენი საუკეთესო მამულები, ბალმა და მასკარადებმა დასცა ეკონომიკურ ძეგლი თაქართველო, ბალმა და მასკარადებმა შერყვნეს და განადგურების გზაზე დააყენეს ჩვენი დედები, რომლებიც ქმრების გვერდით ორგების ზღვაში ჩაინთქნენ. უყურალებოდ დარჩა სოფელი: უყურადღებოდ დარჩა ჩვენი ლიტერატურა, გაიქალა საღმრთო ტრადიციები, ჩვენი ჩვეულებანი, ნაციონალური სიმდიდრე, ძველი დიდების ნაშთი რუსეთისაკენ იზიდება, ინგრევა ტაძრები, დავიწყებას ეძლევა ეროვნული მუსიკა, რომლის ადგილს „მარშანკები“ იკერენ და უფერული ახალგაზრდობაც ეპოლეტებისა და ჩინის ან დიპლომის ოცნებაშია, რომ საღმე მოხელის ადგილი დაეჭიროს. დიდებულ წინაპართა შთაბომავლობა ეხლა თითქოს უარსა ჰყოფდა როგორც სახელოვან წინაპრებს, ისე მთელს საქართველოს ისტორიას!

ამ მდგომარეობის საშინელება ნათლად შეიგნეს ჩვენ ა მესამოცე წლების მოღვაწეებებმა. მათ ახმაურეს პრესა. ერთგვარ პროტესტებს იცხადებენ მიმდინარეობის შესახერებლად, თვითოვლი სტრიქონში იქრემის ფსალმუნა გალობენ, მოსთქვამენ გადავირებისა და დაკინების საშინელებაზე. იგივე მდგრადება: სათანადო გამოხატულობას პრივებ მხატვრულს ნაწარმოებში ჩაგრამ ყველა ეს ისევ ქალაზე რჩება, რომ სადღეისო ნათქვამი მეორე დღეს მივიწყებულ იქნება. არა სჩანს რეალური ძალა, რომ სიტყვა საქმედ გარდაექმნა და აი, კრიზისი თითქოს გამოსავალს გზას პპოულობს ცოტა გვიან, მაგრამ მაინც დროზე. დიმიტრი ყიფიანი მეოთხმოცე წლების დასაწყისში ხსნის სამიწად-მოქმედო ბანკს, რომელმაც უნდა შეაჩეროს საშინელი პროცესი: ბანკის დანიშნულება იყო „პრიკაზის“ მიერ დავალიანებულ მამულების გადარჩენა. „მამულებს მოფურაროთ; იგი კი არ უნდა გავყიდოთ, არამედ

უნდა შევიძინოთ!“ — აი ის უაღრესი დევიზი, რომელიც გახსნისთანვე წამოაყენა შორს — ვპვრეტელმა მამულიშვილმა დიმ. ყიფიანმა.

დ. კასრაძე

(შემდეგი იქნება)

## პ რ ე ს ა

გაზეთ „ერის“ მე-11 ნომერში მოთავსებულია წერილი სრულიად რესერის მხატვართა კრებაზე ბ-ნ ეისნერის მოწოდების შესახებ. იგი მოუწოდებს რუსეთისა და გარეშე ერთა საზოგადოებათ დაიცვან ქართული კულტურის უპატრონოდ დარჩენილი ნაშთები. გაზეთი სხვათა შორის სწერს:

„...თათქმის არც ერთი ნაშთი არ მოიპოვება ისეთი რომელსაც ერთვნებული შეიძლება არა ჭერდეს, რომელიც მთელი ერის წარსელის მაჩვენებელი არ იქმს და ამიტომ მთელი ერისა და ერის ურველი წარმოშავებულისაგან არ საჭიროებული მოვლა-დაცვას. მერე ჩვენი სიძლეებითი უფლება ქართველი არის კი დაინტერესებული. ან თუნდა უველას ჩვენ დაგვაცაფს და შეგვინახავს ჩვენი ისტორიული ნაშთი ისე, როგორც აშას საჭიროება შთათხოვს?“

ჩვილმეტი იანვრის ნომერში „სახალხო გაზეთიც“ თავის მხრით აღნიშნავს ჩვენი საზოგადოების გულგრილობას ამ საქმეში. ოლონდაც რომ დრო არის უურადლება მივაქციონ ამ ჩვენს, ეროვნული კულტურის დიდებულ ნაშთებს და გადავარჩინოთ, რისი გადარჩენაც შეიძლება, განადგურებას და მტაცებლობას. ვინც რა უნდა სთქვას, მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ ამას გვიკარნახებს არა მარტო სარწმუნოებრივი ინტერესები, არამედ ჩვენი კულტურული არსებობა და ეროვნული შეგნება.

\* \* \*

გაზეთ „ზაკავკაზიე“-ს ჩვილმეტი იანვრის ნომერში მასწავლებელი ქალი ქნ. მ. ნ. ამილახვარი თავს იმართლებს და გადატრით უარპყოფს, ვითომ გლეხის ბავშვები შობის ხის გარშემო რუსულ სიმღერებს მღეროდნენ, როგორც ეს „სახალხო გაზეთის“ თერთმეტი იანვრის ნომერში იყო აღნიშ-

ნული და შემდეგ თავის მხრით ფრიად საყურადღებო მოსაზრება მოჰყავს:

„...თუნდაც რომ ემდერად ბავშვები რუსული სიმღერები, აქ არავერთ გამოქვეყნებულია არ არის, რადგანაც ჩვენ ვასწავლით სამსახურის მუდანები და არა სხეციალურად ქართულ სასწავლებლებში და მთავრობა მთათხოვს რუსული ენის ცდენას. ჩვენს პირად ინტერესების აქ ადგილი არა აქვთ; მასთან ჩვენ ზედამდრივი უფლება არა გვაქვს ბალდებს რუსული ენისადმი სიძულევითი ჩაგუნერგოთ...“

ჩვენში არსებულ სკოლებში მასწავლებლებმა ჯეროვანი უურადღები რომ მიაქციონ ქართულს ენასაც, ნუ თუ ეს რუსულ ენისადმი სიძულევილის ჩანარებვა იქნება?! ისევ სჯობდა ცილისწამება ისევ ისე დარჩენილიყო, თუ კი იყო ცილისწამება და ასეთი თავის მართლება კი არ გაგვეგონა.

## უკანასკნელი ამბები

ახალი წიგნი, იბეჭდება იხალი წიგნი „ქართველი ქალები“ დ. ჯავახიშვილის თხზულება, ხელის მოწერა მიიღება წ. კ. ს. მაღაზიაში. ფასი — 75 კ. გამომცემელი ი. კერესელიძე.

რედაქტირ მიიღო ალ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“ ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების მეორე გამოცემა.

ამ დღეებში სიურთიერთო ბანკის სადგომში ქუთათლი ვაჭრების მცირე ჯგუფის კრება მომხდარი. სულ 17 კაცი დაესწრო, კრებაზე მიწვეული იყო ბ. ნ. ნიკოლაძე. კრების მოხსენდა ახალი საქციონერო ბანკის დაარსების ამბავი. ბ. ნიკოლაძე აღფრთოვანებით შეხვდა იმგვარი ბანკის დაარსების ამბავს და სთქვა: ასეთი ბანკის დაარსება საამდროვოა და დიდათ ხელს შეუწყობს ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობის ილორძინებასთ. კრებაზე ყველა დამსწრე ვაჭრმა სურვილი განაცხადა აქციების შეძნისა და იქვე ისიათასი მანეთის აქციი გაასაღეს. აქცია ორასორმოცდაათი მან. ლირს.

ბანკის საორგანიზაციო კომიტეტს ჩვენი ქვეპნის ყველა ქალაქისა და დაბის ვაჭარი უნდა შემოურთდეს ამ დიდი საქმის განსახორციელებლად.

ბანკის ცენტრალური გამგეობა იქნება თბილისში, ხოლო მისი რამდენიმე განყოფილება დანარჩენ ქალაქებში. მარტის 1-ს თბილისში მოხდება ყველა ქალაქის საორგანიზაციის კომიტეტის შეერთებული კრება, სადაც მიიღებენ მომავალი ბანკის წესდებას, წევრებს და სხვა საორგანიზაციო საკითხებს გამოარკვევენ.

საზოგადოთ უნდა ვსოჭვათ — ქუთაისის ვაჭრები ალფრედოვანებით შეეგებნენ ამ დიდ საქმეს.

„ერი“.

—  
ხალი „რუსული“ გაზეთი. თბილისის სომები კაპიტალისტთა ჯგუფი მარტის პირველ რიცხვებიდან აპირებს რუსულ გაზეთის გამოცემას ბ. სემიონოვის რედაქტორობით. გაზეთის თანამშრომლებათ მიწვეულნი იქნებიან, როგორც სომხები, აგრეთვე რუსებიც. როცა ლაპარაკი ჩამოვარდნილი ქართველი თანამშრომლებზედაც, დაუსახელებიათ საბი პრი: „თემის“ რედაქტორი გრ. დიასამიძე, ალექსანდრე ყანჩელი და ლევან ყიფიანი, მაგრამ კიმათის დროს გამოირკვა, რომ ბბ. დიასამიძეს და ყანჩელს უკვე საკითხი დაუკარგავთ სიმპატიები სომხის ინტელიგენტური წრეებისა, და მათი თანამშრომლობა უკუგდებულ იქმნა, როგორც სომხურ საქმისთვის არა სიმედო პირთა. განზრახვა აქვთ მიიწვიონ მარტო ლევან ყიფიანი. როგორც სჩანს სომხის საზოგადოებასაც სკოდნია ლვაწლის დაფასება. ვინ არ იცის, რა თავგამოდებით ლანძღვდა ბატონი ლევან ყიფიანი „ქართველ ნაციონალისტებს“ პოლიტიკური საკითხში. ამ რიგად, „ქართველ“ ნაციონალისტების ლანძღვიდება სომხურ გაზეთის რედაქტიამდე სულ ერთი ნაბიჯი ყოფილა.

—  
რედაქციის მოუვიდა საბავშვო უურნალ „ნაკადულის“ პრემია „ბიძია თომას ქოხი“, რომანი საქვეყნოდ ცნობილ პარიეტ ბიჩერ-სტოუსი. მშვენიერი გამოცემაა უნდა ვსოჭვათ, პირდაპირ მხატვრული; მრავალი ძვირფასი და ლამაზი სურათი აქვს დართული და, რაც უფრო საყურადღებოა, კარგი თარგმანია, შედარებით. ჩვენი მოზარდი თაობისათვის ეს მართლაც რომ განძია და უსურვებდით კულავაც არ მოკლდეთ ასეთი შინაარსიანი გამოცემანი, ასეთი ნაყოფიერი საჩუქარი. დღევანდელ ჩვენს უურნალში დაბეჭდილი სურათები სანიმუშოდაა ამოღებული ამ წიგნიდან.



ნაკადულის გამოცემა.

თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა მარულის არჩევანი. წარსულ კვირას თბილისის მაზრის თავად-აზნაურებს კერძო თათბირზედ მარშლის კანდიდატებზედ ჰქონიათ მსჯელობა. თათბირში თავად-აზნაურობის გავლენიანნა წევრებმა მიიღეს მონაწილეობა და მომავალ მარშლად ერთხმად გენერალ-ლეიტენანტი ვ. დ. გაბაშვილი დაასახელდეს. ეჭვი არ არის ამ კანდიდატურას მიემსრობიან მაზრის დანარჩენი ცენტრიანი აზნაურებიც.

როგორც შევიტყეთ ვ. დ. გაბაშვილის კანდიდატურას უკმაყოფილება გამოუწვევია სომხურ ზოგიერთ წრეებში. თუმცა აქამდის თავად-აზნაურულ არჩევნებში სომხებს არავითარი გავლენა არა ჰქონიათ, მაგრამ, ფიქრობენ, რომ ვ. დ. გაბაშვილის გასაშავებლად არჩევანზედ ბევრი ისეთი სომები-აზნაური მოვა, რომელიც არასოდეს არ ყოფილი თავად-აზნაურთა კრებებზედ.

—  
საშუალება ბიურო. ჩვენ გვაცნობეს, რომ ქუთათური მოღვაწეები აპირობენ საშუალებო ბიუროს მოწყობას, რომლის მიზანი იქნება მიეშველოს და დახმარება გაუწიოს იმერეთის გლეხობას ქართლ კახეთში გადმოსახლებლად. ქუთაისის ბიუროს მუშაობა თბილისის საადგილ-მამულო კამისიის მუ-

შოთასთან შეთანხმებული იქნება. ამ ფრიად მნიშვნელოვან თრგანიზაციის მოწყობას ქრისტიანურები შეუდგნენ კიდეც.

საადგილ-მამულო კომისიის რეორგანიზაცია. ხვალ, დეპუტატთა საკრებულოში ქართულ საზოგადოებათა წარმომადგენლების დასწრებით კრება მოხდება, რომელმაც საადგილ-მამულო კომისიის მიმღებობა



### ნაკადულის გამოცემა.

სარეორგანიზაციო პროექტი უნდა განიხილოს.

ოსების ემიგრაცია. გაზ. „რუსეთის სლოვოს“ სიტყვით ჩადილოეთ ამერიკიდან 80 ოსი დაბრუნდა, რომ-

ლებსაც ამერიკაში რამდენიმე წელიწადი გაუტარებიათ. ჩამოსულებმა, თავის თანამემამულეებს უამბეს ამერიკის სიმდიდრეზედ და სხვათა შორის უთითებდნენ დიდ სამუშაო ფასზედ, რომელსაც ამერიკელი

მრეწველნი იძლევიან. მათ ამბავმა ისე იმოქმედა ოსობაზე, რომ 500 ოსის კომლს გადაღწყვეტია ამერიკაში გადასახლება.

გაზ. „აზადარმარტი“ რუსეთში. დაშნაკუაკანების მთავარ თრგანოს „აზადარმარტი“, რომელიც კონსტანტინოპოლში გამოდის და ცნობილი იყო აქამის, სხვათა შორის, როგორც ანტი-რუსული თრგანო და რუსეთში აკრძალული, ამ ეამად, თბილისის სომხურ გაზეთების სიტყვით, ნება დაერთო ამიერ კავკასიაში გამოსვლისა. დაშნაკუაკანთა პარტიის მიუმართნია რუსეთის ელჩისთვის კონსტანტინოპოლში და მეფის მთადგილის გრაფ ვორონცოვაშვილის განსაკუთრებული თხოვნით და დაპირებია, რომ რუსეთის საწინააღმდეგოს აღარაფერს დავწერთო.

„ახალმა კურსმა“ მალე იჩინა თავი...

—

## ქ უ თ ა ი ს ი

უკანასკნელად ქუთაისი მე ვნახე, როგო მისი  
მიღამოები თოვლით იყო მოფენილი

ცა მისი მღვრიე იყო  
ქუჩები - ნოტიო

მაგრამ მე მინახავს ქუთაისი გაზაფხულზედ,  
მაისის დილას, ან მაისის ხალამოს.

უკელაფერი იცინის მაშინ ქუთაისში  
უკელაფერი მღერის,  
უკელაფერი იფურჩქნება.

ქუთაისი ვარდის ქვეუანაა...  
„ქუთაისო, ქუთაისო,  
სავარდო და სამაისო!..“

ქუთაისი მშიარულების დედაა, ამიტომ იგი  
არასოდეს არ გაიზრდება.

და იცით რათა?

— ქუთაისი თითონ სჭამს თავის თავს!

ქუთაისი ისეთი ქალაქია, რომ ღარიბი შეიძლება გამდიდრდეს, მაგრამ მდიდარი აღარ მდიდრდება!

რათა?

იმიტომ რომ ქუთაისი რეზინაა... არ შეიძლება სულ ძირამდის გაიჭიმოს.

და რომ არ გაწყდეს — ქუთაისიც იკუმშება.

როდესაც უქმე დღეს ხალხი ბულვარზედ გამოდის...

მაგრამ ნება მიბოძეთ გითხროთ, თუ არის ქუთაისის ბულვარი!

ქუთაისელებისთვის ბულვარის გადასახლებით მეტია, ვიდრე პრატერი ვენელებისათვის, ცილისტების მინდვრები პარიზელებისათვის და სასახლის ქუჩა თბილისელებისათვის.

ბევრი კარგი სახლია ქუთაისში

მოწყობილი ისეთის შიკით და ლაშათით, როგორც სხვაგან.

მაგრამ უკელაზედ უძვირფასესი სალონი ქუთაისში — ბულვარია,

გნებავთ ვისიმე ნახვა — მიბრძანდით ბულვარზედ

გნებავთ ოჯახს თავი დააღწიოთ — გადით ბულვარზედ

გნებავთ გაერთოთ — წაიკითხეთ ბულვარი!

სწორედ რომ წაიკითხეთ!

რაღვანაც ქუთაისის ბულვარი უბირველესად ყოვლისა გაზეოთია!

დიდი პოლიტიკური გაზეთი

განცხადებით, მეთაურებით, ქრონიკით, ფელეტონებით, ლექსებით, სიმღერებით და კალამბურებით.

ქუთაისში ორი პოლიტიკური გაზეთი გამოდის, მაგრამ ეს გაზეთები ვიწრო პარტიის გაზეთებია.

მხოლოდ ერთი ბულვარია, რომ უკელა მიმართულებისათვის აუცილებელი რამ არის.

ამიტომ უკელა ხარბათ ეწიდება მას.

უკელაზედ უწინ ბულვარს შეკირდობა ივებს, მერე მოდიან სირმება...

— ა. ეს ქუთაისის სირმები, მესტები, ნაბდები!

ასეთებს თქვენ ვერსადა ნახავთ

ქუთაისში ნამაკაცი სულ იმის ცდაშია, რომ წელში ქალზედ თუ სუსტი არა, მეტი არ მოვიდეს.

ამიტომ ისე არსად არ იჭერენ ქამრებს, როგორც იქ!

ისე კოხტად არსად არ იგრეხენ ულვაშებს, როგორც ქუთაისში!

შეხედეთ გვანან არწივებს,

ულვაშები აქვთ კატისა!

იტყოდა სირან-დე-ბერუერაკი —

და არსად არ მინახავს ისეთი გრძელი ბრჩევლი ნეკზედ, როგორც ქუთაისის ბულვარზედ.

ქუთაისის ბულვარზედ მე მინახავს ისეთი გრძელი ბრჩევლი, რომ მღვდელს შეეძლო მოთი

მომაკვდავის ზიარება და საერო კაცის კი ნაყინვის კამა!

და აი, როცა ეს სირმები, მესტები, ნაბდები და ბრჩეილები თავს იყრიან ბულვარზედ და როდესაც აქვე მოდიან ქუთათური ქალები—

ქუთაისის ბულვარი მაშინ კორდებალეტია ჰგავს!

ქუთაისი ცეკვავს, ქუთაისი მღერის, ქუთაისი მხიარულობს!

ამ წუთში ქუთაისი მცფეა...

— მეფე მხიარულობს!

ქუთაისში ისეთი რამეც არის, რაც აუცილებლად სევდასაც მოგვერით.

მაგრამ როდემდის?

იქ, მაღლა, არქიელის გორაზედ,

საიდანაც მოსხანს ბულვარი და შთელი ქუთაისი.

საიდანაც მოსხანს გელათი და რიონი—

მაგრამ მოიხადეთ ქუდები ბატონები!

მე მსურს ვილაპარაკო ბაგრატის ტაძრის ნაგრევებზედ.

ნანგრევებზედ და სვეტებზედ, რომლებიც ისე არიან მხარეთმოზედ წამოწოლილი, როგორც მდევები სამხრად.

აი, არა ნაკლებ ნამდვილი ქუთაისი!

ქუთაისი მამებისა და პაპებისა.

ქუთაისი კეშმარიტ ქართულის პლასტიკისა, ხელოვნებისა, ხუროთ მოძღვრებისა.

როცა მხიარულ ქუთაისიდგან ამ ტაძარში შედიხართ, თქვენ გულს საუკუნეთა ლოდები აწვება.

ხავსიანი, უსურვაზიანი ქვები!

ხაზიანი, ჩუქურთმიანი ქვები!

აქვთ მათ თვალები, რომ დაინახონ თავიანთი მდგომარეობა?

აქვთ მათ ყური, რომ გაიგონ ურიამული ქუთაისისა?

და უფრო კი—

აქვთ მათ მეხსიერება, რომ მოიგონონ დღენი თავის წარსულისა, წუთები თავის სიჭაბუკისა?

დადიხართ მოკაკული ამ ნანგრევებ შორის და ოდარ იცით სად დადგეთ, სად დაჯდეთ, რას უყროთ.

და ეს არც გასაკვირველია!

თქვენ, როგორც შვილი შვილს, ჩიმომავალს წე-

ლი გტკვათ, ზურგი გტკვათ, მხრები გტკვათ, როდესაც იგებთ, რომ ეს ქვები, ეს დიდობონი სვეტები თქვენმა წინაპრებმა თავის წელი, / თავის ზურგით, თავის მხრებით ამოზიდეს აქა რა და

თქვენს გულს სევდა ლრონის და მომართება

მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ქუთაისში ხართ! აქ ყოველ ერთ სევდას თავისი ორი სამხიარულო ამბავი აქვს და აი ერთი მხიარული ამბავიც:

ბაგრატ მეფის დროს საქართველოში დიდი კორიკანობა იყო.

კორიკანობდნენ საფარეშოებში.

კორიკანობდნენ დარბაზებში—

კორი შეძვრა თვით მეფის პალატში.

კორმა ისეთი გრანდიოზული ხასიათი მიიღო, რომ იგი ემუქრებოდა თვით სახელმწიფო ძალას და რომ იგი ფემინიზმად არ გადაჭცეულიყო, ბაგრატ მეფებ ბრძანება გასცა, გამოჩენილი მექორე ქალები დაეტუსალებინათ.

საქართველომ ამოისუნთქა. კორს აღარავინ ავრცელებდა და სახელმწიფო ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

მაგრამ...

ერთ დღეს საქართველოს გულშემზარავი ამბავი მოედო.

— ბაგრატ მეფე მომკვდარაო! გაისმა ყველგან.

ბაგრატი ცოცხალი იყო. მოუნახეს კორს სათავე და რა იღმოჩნდა? იგი წამოსულიყო სწორედ იმ ციხიდვან, სადაც ქალები იყვნენ დატუსალებულნი.

მუხლს ვიღრეკ თქვენს წინაშე. ჩვენო ძველო, კარგო ქალებო!

ნეტარ ხსენება თქვენ, ნეტარ ხსენება თქვენს კორებს, რომლებიც ისე ამხიარულებდნენ ჩვენს წინაპრებს!

აი ნიმუში ძველის საქართველოსი, რომელიც გაგონდებათ ახალ ქუთაისის მიღამოზედ.

ქუთაისო, ქუთაისო,  
სავარდო და სამაისო!..

შ. ა.

## ქართული ენა სასწავლებლებში.



ერთხელ კიდევ გაიმეორეს და მოგვაგონეს სრულიად რუსეთის სახალხო მასწავლებელთა კრებაზე ის კეშმარიტება, რომ სკოლა უნდა განთავისუფლდეს უოველივე პოლიტიკისაგანით. მიუდგომელმა პედაგოგიკამ აუცილებელ საჭიროებად აღიარა სწავლება შშობლიურ ენაზე უვალასათვის, რადგანიც კეთილი ნაყოფი მხოლოდ მაშინ შეიძლება მოიტანოს განათლებამათ. უცხო ენის ნაძალიადევად შეთვისება გონებითაც და ზნეობრივადაც ამახინჯებს ბავშვს და განათლებასაც ვერ დასთესავს ხალხშით. როდესაც ბავშვი თავდაპირველად დაახლოვებულ საგნებს ეცნობა, და მას ნაცნობ და გასაგებ ენით ელაპარაკებიან, მხოლოდ მაშინ ვარჯიშობს მისი გონება და ეჩვევა აზროვნებასაც, მაგრამ თუ ბავშვი თავიდანვე აიძულეთ მხოლოდ წარმოდგენით გაეცნოს უცნობ ქვეყანას, მხოლოდ წარმოდგენაში შექმნას ის უცნობი უნახავი საგანი, რომელსაც მას სიტყვიერად და ისიც გაუგებარ ენით უხსნიან და აცნობენ, ჯერ კიდევ ფაქიზი, სუსტი გონება დაიღლება, დაწლუნგდება და გონება გაწროვნილი აღამიანის ნაცვლად, რაღაც უსულო მექანიზმს მივიღებთ. ამიტომაც უველი, ვისთვისაც ძვირფასია საჭიროება თვით კეშმარიტი განათლებისა, ვისაც უყვარს ბავშვი, ვინც დაინტერესებულია სახალხო კეთილ-დღეობით, დიდი ხანია მომხრეა ეროვნული სკოლისა, მაგრამ სადაც პოლიტიკური და ისიც უკუღმართი და შემცდარი შეხელულებაა გამეფებული და პოლიტიკურ მოსაზრებას ეწირება ხალხის კეთილდღეობა და თვით მისი მომავალი, — კეშმარიტებაც კი დასამტკიცებელია. მასწავლებელთა კრებაზე აღიარეს სხვათა შორის ქართველი ხალხისათვის საჭიროდ ეროვნული სკოლა და შესაფერი დადგენილებაც გამოიტანეს. სანუგეშოა და სასიამოვნო, რომ რუსეთის მოწინავე საზოგადოება, რომელიც სრულიად არ არის აგრესიული პოლიტიკით დაბრმავებული და გატაცებული, აღიარებს რუსეთის სახელმწიფოს მოყოლილ ერთო აშ უპირველეს საჭიროებასაც, მაგრამ ულმობელმა სინამდვილემ იმდენად ურწმუნონი გაგვხადა, რომ დიდი იმედებს ვერ მივეცემით. ჯერ კიდევ შორს არის ის ნეტარი დრო, როდესაც რუსეთში ეს ძვირფასი სიტყვები, ეს სანუგეშო დადგენილება კრებისა არა თუ საქმედ იქცეს, ჯე-

როვანი უურადლება მაინც მიაქციონ და ამიტომ ვიღებთ რა მხედველობაში კრების სურვილებს, ისევ ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს თვითშეგნებას, ჩვენს სიფხიზლეს მივმართავთ, ჩვენს თავს ჩვენ ვუპატრონოთ, რამდენადაც შესაძლებელია. მშობლიური ენის გაბატონება უცხო ტომთა სკოლებში, ეროვნული არა თუ დაწყებითი და საშუალო, არამედ თვით უმაღლესი სასწავლებელი უველგან, ეს როგორც აუცილებლიად საჭირო რამ უველას თანაგრძნობას გამოიწვევს, უველა მოუთმენლად მოელის ამ ოცნების განხორციელებას, მაგრამ დღეს-დღეობითაც უნდა მივაქციოთ ჩვენ ანორმალურ მდგომარეობ. ს უურადლება და ის მაინც გავაკეთოთ რაც შესაძლებლობის ფარგალში იმყოფება. არა თუ მთავრობის სასწავლებლებში არ არის ოდნავად მაინც სასურველად ქართული ენა დაყენებული, არამედ თვით ჩვენს ქართულ გიმნაზიებშიც, ეს ენა აბუჩადაა აგდებული. მთავრობის გიმნაზიებში, პროგიმნაზიებში და სხ. კვირაში ორი-სამი გაკვეთილი თითქმის ყველგანა აქვს ქართულს დათმობილი, მაგრამ როგორც მოწაფეები, აგრედვე მასწავლებელნი სასაცილოდ იგდებენ ენას, ქართული ენის მასწავლებელი მხოლოდ ჯამაგირს იღებს მთავრობის გიმნაზიებში და თავის თავსაც და სხვებსაც იტყუებს ვითომ ენას ვასწავლიო. ჩვენი აზრით, რაც უნდა ცუდ მდგომარეობაში იყოს მასწავლებელი ჩაყენებული, იგი მაინც მოახერხებს ასე თუ ისე ინტერესი აღუძრას იმ ორიოდ ქართველ მოწაფეს, რომელიც გიმნაზიებში ქართულ გაკვეთილებს ესწრება. განა ცოტაა იმისი მაგალითი, რომ ევროპიული ენები ერთს გიმნაზიაში უკედ არის დაყენებული, ვიდრე მეორეში! და ეს განსხვავება მხოლოდ მასწავლებელს უნდა მიეწეროს. სჯობს რომ ქართველმა საზოგადოებამ სრულიად უარი განაცხადოს ქართულ გაკვეთილებზე გიმნაზიაში და ან როგორმე შეეცადოს ცოტა უკედ დააყენონ იგი. საჭიროა მოხდეს მასწავლებელთა კრებები და გამოსძებნონ რამე საშუალება, ცოტათი მაინც გაუმჯობესდეს საქმე, თორემ დღითი-დღე იზრდება გადაგვარებულთა რიცხვი. ენის უცოდინარობა, მართალია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს გადაგვარებას, მხოლოდ საშიშარია ის ფსიხიკა, შეგნება, რომელსაც ვიძენთ რუსულ სასწავლებელში. იქ ვეჩვენით ჩვენ ჩვენი თავის, ჩვენი ენის, ჩვენი ისტო-

რის, ჩვენი ერის უარყოფის, იმუხად იგდებას, და აი ეს ფსიხიკაა ჩვენი ბოლოს მომდები. შერყვნილ ენას ადამიანი გაისწორებს, სრულიად რომ არ იცოდეს, კიდევაც შეისწავლოს ზედმიწევნით, მაგრამ ერთხელ შერყვნილი და გათახსირებული ფსიხიკა არ განიწმინდება. ერთხელ გაბზარული სული არ გამოელდება. იმის გარდა რომ მთავრობის სასწავლებლები ვითომდა თვალებს გვიბმენ, ისინი ახალთაობას საკუთარ ენას აზიზლებენ და რყვნიან სულიერად, ამიტომ დროა ისეთი რამ ვიღონოთ, რომ ან სრულიად მოსპონ იქ ქართული ენის სწავლება და ან ლირსეული აღვილი მისცენ მას. ჩვენი თავად-აზნაურობა ირა ერთ და ორს ათასს მანეთს ხარჯავს მთავრობის სკოლებისათვის და იმით ინუგეშებს თავს, იქ ქართულ ენას ასწავლიანო.

დრო არის თავად-აზნაურობამაც გაბედვით

სთქვას, რომ ჩვენი გადაგვარებისათვის უულებს არ გავიღებო. დე, ბიუროკრატიამაც ალმაცერად შეპხედოს, სამაგიეროდ მის მხარეს იქნება /მუცნიერება და სიმართლე/. ხშირად ისმის ჩვენში: ჩვენი თავად-აზნაურობა ეროვნულ საქმეს ეჭიაზურებული მაგრამ ასეთი პოლიტიკა მისი, პირიქითა, უფრო უფრო ძრო მოვალი საქმის სამარის მთხრელია. მას უფლებაცა აქვს და რადგან სუბსიდიებსაც იგრე უხვად არიგებს, ნებაცა აქვს მოითხოვოს კიდეც, ჯეროვანი უურადლება მიაქციონ ქართულ ენას. დაცვა მშობლიური ენისა სწორედ ეროვნული საქმეა და მთელი შევნებული ქართველობაც მას მხარს დაუჭირს. მხოლოდ მეტი გამბედაობა საჭირო, მეტი გამბედაობა.

ს. და—ნი.

## აურა ქართულ სოფლებისა და ოინები მანთაშევის აგენტებისა ქართლში

(კორესპონდენცია ქართლიდან)

ჩვეულებრივ მოვიარე ქართლი და განსაკუთრებით ის სოფლები, რომელთაც უპირებენ აურას შოლიგონისათვის, რათა გამეგო, თუ რას ფიქრობს აქ შცხოვრები გლეხეცობა, ან რამდენად მართალი იქ ის ხმები, რომელიც აგრე რამდენიმე ხნია დაინას საზოგადოებაში.

ჩემს თვალებს შემდეგი სურათი წარმოიდგა: სოფლებში დაინას კომისია, რომელიც აფასებს სახლ-კარის, ადგილ მამულის დირებულებას და საერთოდ გლეხ-კაცების ქონებას, რათა ვადის დროს მესაკუთრების ჩააბრონ დირებული ფული და მერე პი უბრან თავი, ვინ იცის სადა.

სანამ კომისია დაივლიდა და გლეხ-კაცობა თავის თვალით ხახავდა იმ პირთ, რომელიც აფასებენ იმათ ქონებას და ადგილ-მამულის დირებულებას, თითქოს, როგორდაც არა სჭერთდათ და იძახდნენ, როგორ იქნება, ხედმწიფე როგორ გაგვიმეტებს, როგორ მოგვაშორებს ჩვენს მამა-პაპეულს მამულსა და სახლ-კარსათ...

მაგრამ როცა კი თავიანთ თვალით ხახეს კომისიათნერები, რომელიც მათ მამულს და სახლ-კარს აფასებ-

დნენ, მაშინ უველამ ერთაშად დაიწერ უაქანი და ტირადი, თუ როგორ უშეედათ თავიანთ თავისათვის და დაქმიათ თავი იმ უბედურებისაგან, რომელიც მოედით. დედაკაცები იკრიფებიან, სტირიან, ჩივან და იწევებიან თავიანთ გაჩენის დღეს და ეთხოვებიან იმ კერას, სახლს, კარს, საცა დაბადებულან და აუხელიათ თვალი. მოხუცთა ტირიდს, ჩივილს და გოდებას ხომ საზღვარი არ აქვს. იძახიან—გის რად უნდა ჩვენი უბედურება და მომორება ჩვენ მამა-პაპეულ სახლ-კარიდგანათ. უფრო ჭიშიანნი და წინდახედული ახდენენ სოფლებში კრებას, ადგენენ „პრიგავორებს“, ირჩევენ კაცებს და სურთ სოხოვთნ უმაღლეს მთავრობას, რათა დაიხსნან ხალხი იმ უბედურებისაგან, რომელიც მათ მოედით.

„პრიგავორები“ ზოგიერთ სოფლებში უპერ დაადგინეს და კაცებიც აირჩიეს, რათა წარსდგნენ უმაღლეს მთავრობასთან სათხოვნებულად.

აურას უპირებენ შემდეგ სოფლებს. უფლისცისეს, ხადარისზევს, ზემო და ქვემო რენეს, ზეგარდას, შაშვებს, ხაწრეთს, შატარა ხერგალეთს და ნიგოზას.

სქრიან მამულებს მრავალ სოფლებს და აშია ძირს უთხრიან მთელს ქართლს. მიწა მოჭრილი სოფლები უარეს მდგომარეობაში გარდებიან, გიღრე სრულიად აურიდნი. რადგან უმაწოდ სრულიად ისპობა მათი გეონომიური ისედაც მცირე ძალა.

რა თქმა უნდა, ის სოფლები, რომელიც უნდა აკურთ, სულ სახაზინო (ძველად საეკლესიო) არ არის და ეკუთვნის ზოგი თვით ადგილობრივ გელექ-კაცობას.

დადი ნაწილი კი ეკუთვნიათ შემამულებებს და ახალ შებატონება მანთაშეებს რომელიც არ დასჯერება ახლად შეძენილს მამულს და ათარებებს თავის აგენტებს, რომელიც დადიან სოფელ-სოფელ, ჰერენ ცნობების, თუ ვის აქვთ მამული გასასყიდი, ან ვის უჭირს უყდი, რათა დასარბოს უყდი, — უუჯათ დამშეულ შემამულებებს და მისცეს ორი იმდენი ფასი მამულში რასაც გაძალ-ტეავებულ ქართველ გელექ-კაცს შეუძლია გადახდა.

ასე და ამ გვარად თარემობები თავ-ადებულად ბატონ მანთაშეების აგენტები და მით ნაწილ-ნაწილ ჰერენის მამულს, ვინ იცის რისთვის, ან რა მიზნით.

ჩვენ ვიცხობთ იშ მემამულებებს, იმ პირთ, რომელთაც მიმართეს ამ ვაჭბატონებმა, ზოგი მარჯანი დაიყრავს კიდეებ.

  
საქართვის სოფიზი, წინ დასჭირებული გზის ჩამნება იმ ამთანებულ გლეხსაცემისა, რომელიც ამ დღემამდე უმაღლეს მთავრობას წარუდგებიან.

იმედია, ამ საგანზე ხმას ამოიღებს ქართული პრესი და ბანს მისცემს ქართველი საზოგადოება.

კონფენსია სხვა გაზეთებსაც კი წერილი გადახეჭდონ.

ვინმე.

### რედაქტორ-გამომცემელი

6. გაბაშვილი.

## გამართული სესიის მომენტი 1914 წლისათვის

ერველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო განხეთი

## „სესილებ გაზეთი“

1914 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის.

კვირაობით სურათებიანი დაგაცემით.

### პრესიდ მომწერლი მიმღებებ სამს წიგნს:

პირველი წიგნი „უგვირგვინო მეფენი“ სანდოო შანშიაშვილისა, „მიმქრალი შარავანდელი“ ვ. ბარნოვისა და სხ. მეორე წიგნი „უცხოეთის მწერლები“, მესამე წიგნი სამეცნიერო კრებული.

გაზეთის ფასი: თბილისში და მის გარედ წლით 8 გ. 50 კ. 6 თვით 4 გ. 50 კ. 3 თვით 2 გ. 25 კ. საზღვარ გარედ წლით 15 გ. 6 თვით 7 გ. 50 კ. 3 თვით 3 გ. 75 კ.

ცალკე ნომერი ყველგან შაურად; დამატებიანი შვიდ კაპეიკად.

ფოსტის აღრეხი: Иифлисъ Груз. газ. „Сахалхо Газети“ поч. ящ. 190.

# გ ა ნ ი ც ხ ა ვ ე ბ ა ნ ი




## სამიერნოს გასაცვლა

ს. ს. ხეთაგურის სანერგე


მსურველთ აწვდის გამოცდილ მებაღეებს ხეხილის გასაცხლელად. ცნობების მიმართვა  
შეიძლება წერილობით: თბილისი, ს. ს. ხეთაგურის სანერგე.

■ ■ ■ Тиф'исъ питомники С. С. Хетагурк. ■ ■ ■

**1894 წლიდან**



**1914 წლამდის**



ს ა უ ბ ე თ ე ხ ო ღ ვ ი ნ ღ ღ ი თ ვ ლ ე ბ ა ღ ვ ი ნ ღ

სახოგადოება „ვ ა ხ ე თ ი“-სა

ფლეჭონი:  
№ 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63  
და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სხ.